



გულგაათ რცხილაპი

ძართველები და რუსული მხსიაღები

ერთი მიზინზეაული ჟაჟტის შესახებ

საქართველოში წლების მანძილზე სახელმწიფო დონეზე წარმოებულმა ანტირუსულმა პროპაგანდამ, საზოგადოების გარდა, ქართველი ეკლესიის მსახურებისა და მრევლის ერთი ნაწილიც მოიცვა. გაცოცხლდა საბჭოთა პერიოდში შობილი „დისიდენტური“ მითები, რუსების მიერ ქართული კულტურის მოსპობის მიზნით „შეთეთრებული“ ფრესკების შესახებ, აქცენტი გაკეთდა არა რუსეთის წყალობით საქართველოს დანაკურებული, ქრისტიანობის მტერთაგან იავარქმნილი სამეფო-სამთავროების გაერთიანებასა და მოშლილი საეკლესიო ცხოვრების აღდგენაზე, არამედ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და პატრიარქის თანამდებობის გაუქმებაზე. „პატრიოტები“ სლუმან იმაზე, რომ იმჟამად, მეფის რუსეთში დიდი ხნის წინ იყო გაუქმებული პატრიარქობა და ეკლესიის მეთაურის ფუნქციას მირონცხებული ხელმწიფე-იმპერატორი ითავსებდა. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ რუსეთთან შეერთებამდე დაკარგა ქართულმა ეკლესიამ მონასტრები ათონსა და პალესტინაში, ხოლო დასავლეთ საქართველოს ბევრ კუთხეში საერთოდ მოიშალა საეპისკოპოსოები და გამალებული ისლამიზაციის პროცესი მიმდინარეობდა, სამარცხინო „ტყვიის სყიდვის“ ფონზე. ბევრად სახარბიელო ვითარება არც აღმოსავლეთ საქართველოში იყო.

რა გასაკვირია, რომ ამ ელემენტარული ისტორიული ჰერმარიტების უარ-თუ უგულებელმყოფელნი ეჭვს ქვეშ აყენებენ რუსეთის, როგორც ბიზანტიის მემკვიდრის, „მესამე რომის“ ისტორიულ ფუნქციას. მაგრამ მათ არ უწყიან, რომ რუსეთის განსაკუთრებული ისტორიული მისიის შესახებ შუა საუკუნეების საქა-

ქართველები და რუსული მესიანიზმი

როგორც ცნობილია, 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემისა და ბიზანტიის იმპერიის გაქრობის შედეგად საქართველო მეტად არახელსაყრელ გეოპოლიტიკურ გარემოში აღმოჩნდა. ოსმალეთის იმპერიის გამეზობლება საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ფლანგზე დამდუპველი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის. კონსტანტინეპოლის დაცემიდან სულ რამდენიმე წელიწადში საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, დასავლეთი საქართველო მალევე ოსმალების გავლენის სფეროში მოექცა, სამხრეთი საქართველო — ტაო-კლარჯეთი და მესხეთი კი ანექსირებულ იქნა მის მიერ. ოსმალეთის იმპერიის გავლენა, მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, არაფორმალურად აღმოსავლეთ საქართველოზეც იგრძნობოდა, რომელიც ოფიციალურად სპარსეთის ვასალურ დამოკიდებულებას დაექვემდებარა.

ასეთი მძიმე ვითარება შეიქმნა მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-16 საუკუნის საქართველოში. სამაგიროდ, აღმოსავლეთ ეგროპაში მიმდინარეობს რუსული სამთავროების გაერთიანების პროცესი მოსკოვის ლიდერობით. მე-15-16 საუკუნეების მიჯნაზე მოსკოვის დიდი სამთავრო ჯერ კიდევ ძალზე სუსტია საიმისოდ, რომ მეტოქეობა გაუწიოს ბალკანეთსა და შავი ზღვის აუზში გაბატონებულ ოსმალეთს, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მოსკოვი ერთადერთი მართლმადიდებელი ქვეყანაა, რომელიც არ მოექცა მუსლიმ ოსმალთა უღლის ქვეშ და, მეტიც, გააფართოვა თავისი ტერიტორიები, რუსეთში, პირველ ყოვლისა, სასულიერო წრეებში, განვითარება პპოვა მესიანისტურმა იდეებმა, მოსკოვის განსაკუთრებული ისტორიული როლის შესახებ. ყველაზე ცნობილი მათ შორის ბერი ფილოთეონის მიერ მოსკოვის „მესამე რომად“ გააზრებაა. ბიზანტიის მემკვიდრეობა ფილოთეონს და მისი მოსაზრების გამზიარებლებს უმთავრესად არა პოლიტიკური, არამედ რელიგიური დატვირთვით ესმოდათ. რომანოვების დინასტიის დამკვიდრების დროს, მე-17 საუკუნის დასაწყისში, რუსეთში მესამე რომის იდეა მივიწყებულიც იყო, მისი რეანიმირება და პოლიტიკურ კონცეფციად ჩამოყალიბება მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა ხანებში მოხდა.

მესიანისტური იდეების თვალსაზრისით რუსეთი გამონაკლისი არ არის. „ახალი რომისა“ და ისტორიაში საკუთარი განსაკუთრებული როლის იდეა ბერძნებსაც ჰქონდათ და ბულგარელებსაც. ფილოთეონსამდე ჯერ კიდევ საუკუნე-ნახევრით ადრე, ე. ი. მე-14

გულბაათ რცხილაძე

საუკუნის შუა ხანებში, ბულგარეთში უკვე არსებობდა წარმოდგენა სატახტო ქალაქ ტირნოვზე, როგორც „ახალ ცარგრადზე (კონსტანტინეპოლზე)“, დასუსტებული ბიზანტიის დედაქალაქის საპირისპიროდ. ბულგარეთის მეფეს იმავე ეპითეტებით ამკობდნენ, როგორც ბიზანტიის იმპერატორს („მართლმორწმუნე“, „ჭეშმარიტების ღვთიური დამცველი“ და ა. შ.). ბერძნებს კი ხომ ისედაც მიაჩნდათ კონსტანტინეპოლი „ჩრდილოეთის სიონად და დიდი ხელმწიფის ქალაქად“, ხოლო საკუთარი თავი „ღვთის რჩეულ“ ერად.

რაც შეეხება რუსეთს, ბერი ფილოთეოსის მიერ მე-16 საუკუნეში ფორმულირებული „მესამე რომის“ იდეა და მასთან დაკავშირებული ასპექტები თანდათანობით და, რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, უცხოელების, პირველ ყოვლისა, ბალკანელი სლავების (სერბები, ბულგარელები) მიერ ყალიბდებოდა და ვრცელდებოდა. არსებობს დასაბუთებული ვარაუდები, რომ ფილოთეოსმა თავისი მოსაზრებები სამხრეთის სლავ ავტორებზე დაყრდნობით განავითარა (მეთოდის პატარელის „გამოცხადება“ და წმ. ანდრია სალონის „ცხოვრება“, წმ. იპოლიტეს და წმ. ანდრია კესარიელის აპოკალიფის განმარტება და სხვ).¹ ფილოთეოსის ახალგაზრდობაში, ივანე მესამის (დაიბ. 1440 — გარდ. 1505 წ.) მმართველობის დროს, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ, მოსკოვს სამხრეთელი სლავი ინტელექტუალების (ისინი კი პირველ რიგში სასულიერო პირები იყვნენ) დიდი ნაკადი მოაწყდა. მათი გავლენა რუსული პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბებაზე ეჭვს არ იწვევს.²

ბუნებრივია, რომ ბალკანელი ემიგრანტები ოსმალო თურქების მიერ მათი სამშობლოს დაპყრობის შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ. მათვის რუსეთი წარმოადგენდა მართლმადიდებლობის ერთადერთ ბურჯს, რომელსაც სამომავლოდ დიდი რელიგიური და, მასთან ერთად, პოლიტიკური ფუნქცია ეკისრა. თანაც, ბერ ფილოთეოსთან შედარებით, ბალკანელი მოღვაწეებისათვის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ასპექტი წინა პლანზე იდგა. აქვე აუცილებელია ივანე მესამის ქორწინების ფაქტის აღნიშვნა ბიზანტიის ბოლო იმპერატორის ძმიშვილზე, სოფია პალეოლოგზე (1472 წ.), რომელმაც შემოიტანა რუსულ პოლიტიკურ სინამდვილეში პალეოლოგთა ღერბი — ორთავიანი არწივი. ივანე მესამის მეკვიდრე — ვასილი მესამე (დაიბ. 1479 — გარდ. 1533 წ.). ევროპაში უკვე „რუსთა იმ-

¹ И. Кирилловъ: «Третий Римъ». Москва, 1914 г., стр. 29.

² Николай Ульянов: «Комплекс Филофея», Нью-Йорк, 1956 г., в: «Новый журнал» №45, стр. 249-273.

ქართველები და რუსული მესიანიზმი

პერატორად“ იწოდებოდა.

ქვემოთ წარმოდგენილი ფაქტების საშუალებით დავინახავთ, რომ რუსული მესიანისტური იდეების ჩამოყალიბება-გავრცელება-ში თავიანთი წვლილი ქართველებსაც აქვთ შეტანილი.

შუა საუკუნეების ბიზანტიური საეკლესიო ტრადიცია, როგორც ცნობილია, ძღიდარია სხვადასხვა ტიპის წინასწარმეტყველური გადმოცემებით. ერთი ასეთი გადმოცემათაგანია პირველი ქრისტიანი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (გარდ. 337 წ.) კუბოს სახურავზე არსებული წინასწარმეტყველების შემცველი წარწერის შესახებ. აბსოლუტურად გაუგებარია, როდის და ვის მიერ უნდა გაკეთებულიყო ეს წარწერა, მაგრამ ყველაზე გვიან, მე-17 საუკუნეში, კონსტანტინე დიდის სარკოფაგიდან თითქოს-და დაკარგული წარწერის ტექსტი საყოველთაოდ ცნობილი გახდა. ეს ტექსტი 1684 წელს გამოაქვეყნა დოროთეოს მონევმასიელმა თავის წიგნში „სხვადასხვა ისტორიული თხზულების კრებული“, შემდეგ კი მინის „ბერძნულ პატოლოგიაშიც“ შევიდა. თანამედროვე რუსულზე გადმოთარგმნილი, ეს ტექსტი ასე უღერს:

«В первом году индикта держава Исмаила, который именуется Магомет, победит род Палеологов, овладеет Семихолмiem, будет господствовать в нем, множество народа погубит и опустошит острова до Понта Эвксинского. В восьмом году индикта разорит живущих по берегам Истра, Пелопоннес подвергнет запустению, в девятом — в северных землях станет воевать, в десятом — далматинцев победит, на время вспять обратится, [но затем] против далматинцев [вновь] великую брань воздвигнет, но те частичное поражение ему нанесут. И многочисленные, как листва, [бойцы] западным [народам] последуют, войну на суще и море начнут и Исмаила победят. Потомство же его будет править краткое время. **Светловолосый род** (ъаზօ ჩვյбօա - զ. հ.) с помощниками его вконец Исмаила победят и Семихолмие с особыми преимуществами [в нем] получат. Тогда начнется жестокая междуусобная брань, [длящаяся] до пятого часа. И прозвучит троекратный глас; «Остановитесь, остановитесь со страхом! И, поспешив на десную страну, обретете там мужа, воистину дивного и крепкого. Сей будет вашим властителем, ибо он любезен Мне, и вы, приняв его, исполните волю Мою».³

³ Схимонах Иосиф Ватопедский: «О кончине века и антихристе» (глава 6-ая): http://azbyka.ru/otechnik/Iosif_Vatopedskij/o-konchine-veka-i-antikhriste/6

გულბაათ რცხილაძე

ამ ტექსტის ზოგიერთი პასაჟი („Светловолосый род», «Остановитесь! Остановитесь!») იმდენად წააგავს მეთოდიოს კონსტანტინეპოლელის (გარდ. 847 წ.) წინასწარმეტყველებას, რომ ზემოთ მოყვანილი წინასწარმეტყველების ავტორობაც ხშირად მე-9 საუკუნის ამ წმინდანს, მეთოდიოს მიეწერებოდა ხოლმე (თუმცა პალეოლოგთა მოხსენიება, რომლებიც ბიზანტიას მხოლოდ 1261 წლიდან მოევლინებ საიმპერატორო დინასტიად, ამ ვერსიას სრულად გამორიცხავს). უფრო დამაჯერებელია, ვივარაუდოთ, რომ დოროთეოს მონევმასიელის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი პალეოლოგთა მმართველობის ბოლო პერიოდში, ბიზანტიის საბოლოო დაცემამდე არც თუ ისე დიდი ხნით ადრე შეიქმნა (და შესაძლოა, მართლაც იქნა დატანილი კონსტანტინე დიდის სარკოფაგზე).

თუკი ყირიმის ომის დროს, 1854 წელს მოსკოვში სპეციალურად ამ თემაზე დასტამბულ ბროშურას⁴ დავეყრდნობით, ზემოთ ციტირებული წინასწარმეტყველება დაშიფრული ყოფილა თანხმოვნებით, და ხმოვანი ასოებით იგი ბერმა გენალიმ, პოსტბიზანტიური კონსტანტინეპოლის მომავალმა პატრიარქმა, იოანე პალეოლოგის მმართველობის უამს (1425-1448 წწ.) შეავსო. მაგრამ ესეც მხოლოდ ზეპირი გადმოცემაა და საკუთრივ პატრიარქ გენადის მიერ შედგენილი დოკუმენტი არ მოიპოვება.

მაში, გამოდის, რომ 1684 წლამდე „ქერათმიანთა მოდგმის“ შესახებ წინასწარმეტყველება მხოლოდ ზეპირი ხასიათისა იყო, ან იქნებ წერილობითი წყაროები არ არის შემორჩენილი? — არა, ეს ასე არ არის. სერბი აგიოგრაფი პახუმი (გადმოსახლდა მოსკოვში 1540 წელს), ტირნოველი მწიგნობრის, ეფიმის მოწაფე, რომელიც „რუსეთის უმაღლეს ქრისტიანობაზე“ და „უპირატეს მართლმადიდებლობაზე“ საუბრობდა და თან მოსკოვის მთავრისათვის იმპერატორის ტიტულსაც დამსახურებულად მიიჩნევდა, „светловолосый род“-ის (სხვა ვერსიით, „русый род“) ნაცვლად უკვე „руssкий род“-ს ახსენებს: «Если все преждереченные Мефодием Патарским и Львом Премудрым знамения о граде сем сбылись, то и последняя не минуют, но тоже сбудутся; ибо написано: русский род всего Измаила победит и Седмихолмый возьмет и в нем воцарится».⁵

⁴ Предсказание, найденное над гробом Константина Великого о падении Турецкой Империи. Москва, 1854 г., тип. Ал. Семена. ეს მასალა შესულია კრებულში: В. П. Кузнецов (редактор-составитель): Славная история Царыграда и Византийские пророчества. Москва, 2000 г., приложение к альманаху «Жизнь вечная».

⁵ Ульянов: 1956.

ქართველები და რუსული მესიანიზმი

მაგრამ მე-20 საუკუნის რუსი ემიგრანტი ისტორიკოსი და მწერალი ნიკოლაი ულიანოვი (გარდ. 1985 წ.), რომლის 1956 წელს ნიუ იორკში გამოქვეყნებული სტატიიდანაც მოგვაქვს ეს ციტატა, ამ სტატიის მე-11 სქოლიოში თავად აღნიშნავს ერთ, ჩვენი შეხედულებით, სენაციურ გარემოებას: Справедливость требует отметить, что сербы не сами выдумали «русский род». И. И. Срезневский нашел французский перевод одной грузинской летописи, где приводится пророческий текст надписи на Константиновой гробнице: «Les nations des Russes reunies ensemble avec tous ceux qui les entourent, triompheront des Ismailites». // «სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ სერბებს თავად არ გამოუგონიათ „რუსული მოდგმა“. ი. სრეზნევსკიმ იპოვა ერთი ქართული მატიანის ფრანგული თარგმანი, სადაც მოყვანილია კონსტანტინეს სარკოფაგის წინასწარმეტყველური წარწერა: „რუსული (რუსი) მოდგმა გაერთიანდება ყველასთან, ვინც მის გარშემოა, და ისმაელიტებზე გაიმარჯვებს“».⁶

6. ულიანოვი მცირე უზუსტობას უშევბს, როდესაც ამბობს, რომ მე-19 საუკუნეში მოღვაწე აკადემიკოსმა ი. სრეზნევსკიმ ერთი ქართული მატიანის ფრანგული თარგმანი იპოვაო. აკად. სრეზნევსკის საკუთრებაში ჰქონდა უშეუალოდ ძველი ქართული ხელნაწერის, პალიმფსესტის ორიგინალი, რომელიც აღწერა მარი ბროსემ და ქართულიდან ფრანგულად თარგმანიც მას ეკუთვნის. მხედველობაში გვაქვს მე-14-15 საუკუნეების აგიოგრაფიული და საღვთისმეტყველო ხასიათის თხზულებათა კრებული, გადაწერილი პერგამენტზე ითანე ცოფაიშვილისა და დანიელ ხამბაშვრის მიერ. ინფორმაცია ამის შესახებ დაცულია რ. ორბელის ქართული ხელნაწერების კრებულში,⁷ ხოლო საკუთრივ ხელნაწერი ინახება პეტერბურგში, ისევე, როგორც მარი ბროსეს 1859 წლის სტატია მის შესახებ.⁸

ვფიქრობთ, რომ წესით და რიგით, აუცილებელია, გაგრძელდეს კვლევა ამ მიმართულებით და პეტერბურგში ჩავიდნენ დარგის სპეციალისტები, სავარაუდოდ სენაციური მასალის შესასწავლად. დაიხაც, რომ სენაციურია რუსი ავტორის ცნობა იმის შესახებ, რომ „რუსთა მოდგმის“ ცნება პირველად ქართულ ენაზე ფიქსირდ-

⁶ ივაჟ ციტატა, ულიანოვის გარდა, უფრო ადრე მოხმობილი აქვს მეფის რუსეთის დროინდელ ავტორ კირილოვსაც. იხ.: ზემოთ დასახ. ნაშრ., Кирilloвъ (1914 г.), стр. 15.

⁷ Руслан Орбели: Собрание грузинских рукописей Института востоковедения. Москва-Ленинград, АН СССР, 1956 г., стр. 63.

⁸ იხ. იქვე. სქოლიოში მითიუბულია მარი ბროსეს ნაშრომიც: M. Brosset: Notice sur un manuscript georgien palimpseste appartenant à M. Sreznevski. Bull. Hist.-phil., t. XVI (1859) (=Melanges Asiatiques, t. III).

გულბაათ რცხილაძე

ება და რუსული მესიანისტური სწავლება კონსტანტინეპოლის გათავისუფლების შესახებ ირიბად მაინც საქართველოსთან არის დაკავშირებული. სავსებით შესაძლებელია, რომ არა მხოლოდ პან-უმი სერბი, არამედ უფრო გვიანდელი, ჩვენ მიერ ნახსენები ბერძენი ავტორებიც, „ქერათმიანთა“ შესახებ ინფორმაციას ქართული წყაროებიდან გაეცნენ — ცოფაიშვილისა და ხამბაშვირის ხელნაწერი ხომ ყველაზე ძველია — მე-14-მე-15 საუკუნეების მიჯნისა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ისტორიის ეს ნაკლებად ცნობილი ეპი-ზოდი კიდევ ერთხელ ასახავს მართლმადიდებელი ხალხების, გან-საკუთრებით კი, ქართველების და რუსების დიდ ისტორიულ და სულიერ კავშირს. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც არაკეთილმოსურნენი ცდილობენ ამ ხალხებს შორის გათიშულობისა და შუღლის დათესვა-გაღვივებას.

